ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № /33

ქ. თეთრიწყარო

21 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "თეთრიწყაროს კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური" (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხეების გადაბელვის მომსახურების შესყიდვა /77200000-CPV/.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4875.04 (ოთხი ათას რვაასსამოცდათხუთმეტი ლარი და 04 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 06 დეკემბრამდე უზრუნველყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 189 ხის გადაბელვა.
3.2. მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილი ხარვეზები შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ ჩაურიცხოს მას საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში;
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს გამოვლენილი უზუსტობების აღმოფხვრას და იხდის ჯარიმას, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს გადაუხდელი თანხის 0.2%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაწყებული ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი – გოჩა ლებანიძე.
10.2. შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება “მიმწოდებლის” მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების შესრულების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი

„შემსყიდველი“:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ №34
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა

ბ/კოდი TRESGE22

„მომწოდებელი“:

შპს "თეთრიწყაროს კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური"
ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქ №9
ს/კოდი: 230870885
ა/ა GE79LB0113155765851000
ს/ს „ლიბერთი ბანკი“-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22 (220101428)

14. მხარეთა ხელმოწერები

ერეკლე კუხიანიძე

გამგებლის პირველი მოადგილე

ნიკოლოზ ტატიშვილი

განყოფილების უფროსის მ/შ

ალექსანდრე ბექაური

შპს "თეთრიწყაროს კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური"-ს დირექტორი